

# მასხარა

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო-სალიტერატურო კარიკატურების იუმორისტულ ჟურნალ


**„მასხარა“-ზე**

ჟურნალი გამოვა კვირაში ერთხელ

წლიურათ უღირება—5 მან.; თვეურათ—40 კაპ.  
 განცხადება პირველ გვერდზედ პეტრიტო ღირს—50 კაპ.  
 უკანასკნელზედ—20 კაპ.

ადრესი: „თიფლისი, Редакция газеты „Масхара“.

№ 4. ეოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი. 1 ივლისი 1907 წ.



### მეცნიერების ტაძარი.

ახანაურობა მიყვარდა,  
 ბევრზე დახურვა ქულისა,  
 გავლა—გამოვლა სოფელში—  
 გადავიღება ჩხუბისა.

(ხალხური).

### I

ეს ყველამ ვიცით, ძველ დროში თავადთ  
 ოქრო და ვერცხლი ქონდათ ულუფათ  
 და მეფეთაგან ჯილდოთ იღებდენ  
 ყმასა თუ მამულს მეტათ გულუხვით.  
 მათთვის კანონი არ არსებობდა,—  
 თვით იყვნენ მსაჯულ-მეკანონენი;  
 მათ ხელში იყო გლეხკაცის ბედი,

მისი ასულნი და მისნი ძენი.  
 თუ ისურვებენ, გლეხის ცოლშვილსა  
 ქორ-მეძებრებზე, მწვერებზე სცელიდენ,  
 ვაჟკაცთ ურუმში აბამდენ ვით ხარს  
 და ყმაწვილებს კი თათრებზე ჰყიდდენ.  
 საბრალო გლეხიც, როგორც პირუტყვი,  
 ბატონს უსიტყვით ემონებოდა,  
 მისი ბრძანება—ბატონის რისხვა  
 სიზმარშიაც კი ელანდებოდა.  
 ამ დღეში იყო საწყალი გლეხი  
 ბატონის ხელში შეკრულ-ბოკვილი,—  
 მუდამ ტყვეს, მარად ციხის ტუსაღსა  
 არ ღირსებია მშვიდობის ძილი.  
 მაგრამ ვერ შესძლო ესდენ ვაება,

მწარე ნაღველი მის გულს ქეჯნიდა—  
 და ბოლოს მიხედა, რომ თვის მარჯვენით  
 თავისუფლებას თვისთვინ შექმნიდა;  
 მან გულს გაივლო უსამართლობას,  
 რათაც დაუჯდეს, გაჰკლავებოდა—  
 ან მოეპოვა თავისუფლება,  
 ან მტერს გულდათ ზედ შეჰკლოძოდა.

შეირყა ბურჯი უსამართლობის,  
 კილით კიდემდე გაისმა ჰეჰა  
 და არ გასულა სულ დიდი ხანი  
 თავისუფლების ხმამ დაიჰეჰა.  
 მაგრამ ვი აჰ თავისუფლებას!  
 ერთის მხრიდან თუ შეიქნა ხსნილი,

მეორე მხრიდან მუხრუქს უქერდენ,—  
ახლა სხვას ყავდა ის შებორკილი.  
თუმცა მოისპო გლეხის გაყიდვა,  
მიწა კვლავ დარჩა ხორკმეტ თავდასა;  
შეიქნა გლეხი კვლავ ვალდებული,  
ბატონს აძლევდა ვადასახადას.  
მოგესხენებათ ბატონის რისხვა,—  
როს გლეხმა ცოტათ მოითქვა სული,  
თავად-აზნაურთ შექნეს გოდება:  
„დღეს, ხვალ ვიქნებით ჩვენ დალუპული!“  
და მიუცვლენ თვითმპყრობელობას,—  
დაუწყეს ლეკვებრ ხელფების ლოკვა,  
რომ მომავალში არ დაკარგოდათ  
გლეხის ოფლიდან მსუქანი ლუკმა.  
ზოგმა გამართა ნადიმი, ლხინი,  
მოიბატონა დიდი მთავრობა;  
ზოგს ჯამუშოებით მოქონდა თავი  
და მით გაიკრა დენარალობა.  
თვალთ დაუბნელდათ, როს ნახეს გლეხის  
შვილები სკოლას იარებიან,  
შეფიქრიანდენ გულა—მშივრები  
და ჯავრისგან ავით ხდებიან.  
—როგორ? მე ჩემი ანიაში შვილი  
ტუტის ბიჭთან ერთ სკაშზე დავსო?!  
ჩემი ღირსება, ჩემი წოდება  
წევ—თვითონვე არ დავფასო?...  
ამას ვით დავსთომო? ან ვით გაუძლო?  
უნდა როგორმე ვიღონო რამე,  
რომ ჩემი შვილი გლეხს დააშორონ,  
ერთათ არ იყენენ არც დღე არც ღამე!..  
გაუზიარეს გულა—მშივრებმა  
ერთმანეთს თავის ქირი-ვარამი,  
თვითმპყრობელობას ცრემლით შესთხოვე-  
მიიღოს მთვან მონის სალაში | დენ—  
და უმაღლესათ დართოს მათ ნება,  
ვახსნან თავისთვის კერძო სკოლები,  
შიგ არ შეუშვან გლეხის შვილები—  
ტრალ—მუდრეგი, ტილიანები!..

II

დიდი ხანი არ გასულა,—  
რომ გამოსცეს „პრიკაზია“  
კეთილშობილთ დაიარსონ  
საკუთარი ბიშნაზია.

სულ არ გასულა მას შემდეგ ხანი  
მეფემ წყალობა თვისი ინება  
და საკუთარის გიმნაზიისა  
თავად აზნაურთ დართო მან ნება.  
კომიტეტები თუმცა უმტკიცებდენ,  
რომ ამ გვარ წესით ბავშვებს გარყვნიან  
მაგრამ პასუხათ მარტო ისმოდა:  
„ჩვენ ვედავოგებს ესრე გვწადიან!..  
თუმცა მშობლებიც მუხლ-მოღრეკილი  
ცრემლით შესთხოვდენ შებრალებასა,  
მაგრამ პესტალოცი—ვედავოგების  
ვერ გადუხვიეს მტკიცე ნებასა.  
ყოველ თვის ოცში,— (თქვენც არ მომიკე-  
ოცი თუმანი ძრიელ კარგია! | დეთ!)  
დღეში ორ საათს გაკვეთილები?!—  
მასწავლებლისთვის მძიმე ბარგია!..  
ან ვით შეიძლებენ საბრალობელნი

დღეში ოთხ საათს სწავლის განგრძობას!  
უმალვე ტენი გადუბრუნდებათ,  
სულაც შესწყვეტენ მეცადინობას!..  
ორი საათი? საკმაოსია!  
დანარჩენ დროს კი იქიფებენ!  
და მეტის მეტი დაქანცულები,—  
ღამე მკვდარივით მოისვენებენ!...

ამგვართ შექმნეს მასწავლებლებმა  
თავის თავისთვის ავტონომია  
და კიდევ კარგი, რომ უფრო მეტი  
მათ გონორარი არა სდამოია,—  
თორემ თქვენს მტერსა,—თავად-აზნაურთ  
ჩარხი უკულმა დაბრუნებოდა:  
მათი ქარვასლა, ბანკი, მამული  
სულ მასწავლებლებს მოუნდებოდა!..  
ასეა—ვინც რომ დაკვირვებია  
ავტონომისტთა ყოფა-ცხოვრებას;  
რა საეჭვოა, რომ შეიძენენ  
ამ გვარ ხრიკებით ურიცხვ ქანებას?!..

ეს, დიდებული ოქრო და ვერცხლო,  
შენს მეტი ყველა დასაგმობია!  
იმ კაცს რა უთხრა, ვინც არ ისურვოს,—  
ამ ამბის შემდეგ ავტონომია?!..

ბზიკი.

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი .

ჩვენ ხელთ ჩავვივარდა ერთი საყურად-  
ღებო დახურული წერილი, რომლითაც  
ავტორი ამ წერილისა ჰარველ მუშებზე  
ილაშქრებს. განაღდა მეტი სილაჩრე და  
სინდისის სილატაკე იქნება?! მოგვყავს  
თვით წერილიც:  
მაწყალებო სულაშვილებ!  
დღეს ფულ „იოხ“! როგორ არ მოგარ-  
თმევთ... მაგრამ... თუ ვერ გაძლევთ  
დღეს, ეს ტილიანი ქართველი მუშების  
ბრალი... მომიტყვევთ... ვეცდები...  
მისხილოგი.

ეს ვაუბატონი თუმცა გვართ რუსია,—  
დღელით კი ქართველია... თუნდა ქირმაც  
წაიღოს; მხოლოთ ტილიან ქართველი  
მუშებიო... ეს კი მეტის მეტია! აი მუშების  
უტოფარი გულშემატკივარი—თითო სა-  
ჩვენებელი გვაში!... თავის ვალის გადუ-  
ხელობას მათ აბრალებს! რადგანაც თავი-  
სი უპირულობა უნდა რომ მათ მიაწეროს—  
ბასრი.

როგორც გავიგეთ, ამ მოკლე ხან-  
ში თბილისში უნდა დაარსდეს ახალი  
პარტია, რომლის მიზანიც იქნება ყველა  
ადგილობრივი პარტიის ლიდერები გა-  
ქოროს.  
ამგვარი ერთი უკვე დაარსდა. როგორც  
გავიგეთ, ლიდერთა ქორის პარტიისა სა-  
ხელ განთქმულ აკობიას ასახელებენ, წევ-  
რებათ კი „ისირს“ რედაქციას და მრავალ

თეთრ მოსახვევიან დედაკაცებს. პირველ  
კრებაზე, რომელიც იყო მის მარტს, ქო-  
რის პარტიის წევრები დაესწრნენ. რო-  
მელზედაც გამოიტანეს შემდეგი რეზოლი-  
უცია: „ყველა ქორის პარტიის წევრებს  
ევალებათ, ყველა ოხუნჯ ხალხს თვალ  
ყური ადვენონ,— კოქლს, ქაჩალს, ელამს,  
ჩოფურს, მუნჯს, ყრუს, დიდ ცხვირას,  
პაქოს და ქორის ქარცეხელში გაატარონ.  
ქალაქში ხმა გავრცელდა ვითომ ეს  
ამბავი ზოგიერთებს გაეგოს და უკვე  
მიეღოს ზომები. როგორც აშპობენ,  
ყველა უბანში „მშვიდობი“ გაუძლიერებიათ  
ამ ახალ ქორის პარტიის ასალავმავათ.  
მგონი აკობიასაც დაეძებენ.

„ს ო ს ი კ ო ს“ ნ ა ნ ა .

იავნანა, სოსიკოჩკა,  
ვარდო ნანინაო!  
ეგეთი მწარე ნაღველი  
გულს ვინ მოგვიანაო!  
უწინ იყავ პატრიოტი,  
ესხა სულ სხვა ხარო;  
ვერ გავიგო ჯერ ქვეყანამ,  
რომ „ესერი“ ხარო“

ის ოხერი „ახალშენი“  
შენ ქირათ გაჩნდაო—  
სულ იმის ლანძღვას შესწირე—  
რაც რამ გაგაჩნდაო.

გავთვებში თუ პირადათ  
მუდამ მას ლანძღავო,  
მაგრამ ყურს არ ვინ არ გიგდებს—  
ცრუბენტელა ხარო.

ორმოცი კაცის არჩეულს  
კომისიას ჰგმობო:  
„რადგან მე იქ არ ვიყავი—  
უქანონით ვცნობო!“

კამეტი კაცის არჩეულს  
გონიერთა ესთვლიო;  
რადგან მე იქ ვბრძანდებოდი,  
წესიც ეს არიო“.

ჩემო კარგო, სოსიკო-ჯან,  
ცრუ მებრძოლი ხარო,  
ფარული კენჭი ყრის ღროს კი,  
გამურული ხარო!

სოსიკოჩკა, იავნანა,  
ვარდო ნანინაო!  
ყველა თვალში შენ ხორკმეტი  
და ეკალი ხარო.

ცრუბენტელა, სოსიკოჩკა,  
ჯერ ეს იკმარეო;  
შემდეგისთვის სხვა იქნება,  
მამ გაიხარეო!

**ბათუმის რამე-რუმი.**

დასრულდა **ბ.თუმის** ქალ. თავის არჩევნები. „**უპრავისტებმა**“ წამოაყენეს ალ. დგ—ძის კანდიდატურა, (სოც. დემოკრატია) ხოლო სხვა მემარცხენებმა წამოაყენეს გენერალი კვიციანი, როგორც კარგი ორგანიზატორი წმინდა წყლის „**კაცუნებისა**...“ მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! მიუხედავად იმისა, რომ ხმონების უმრავლესობა „**უპრავისტებისაგან**“ და მის ძმა ქართველებისაგან შესდგებოდა, მათ მიერვე წამოყენებული კანდიდატი ალ. დგ—ძე მინც სასტიკად გააშავეს და არჩეულ იქნა თავ. ანდრონიკოვი ქალ.თავად, გ. ყურული წვერათ; მათ მესაიდუმლოეთ კი მესხი. გენ. კვიციანიკვი ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა, რადგან ორგანიზაციების მოწყობისაგან თურმე დრო არა რჩება. სომხების სიხარულს სახლგარი არა აქვს, რომ უპრავეში ისევე ქართველები დარჩნენ და ამიტომ  $\frac{1}{10}$  იენისის სომხის ეკლესიაში სამადლობელი პარაკლისი ვადაიხადეს, სადაც სწირა ხუდადოვმა, რომელსაც მთავარ დიაკვნად აკინიანცი ჰყავდა....

◆ დღეს 50 დეკემბერს ბოქაული ჩიკვაძე მივიდა კომუნდანტის ბინაზე. სასტიკი ობისკი დაკრა, სადაც აღმოაჩინა მრავალი არა ლეგალური ლიტერატურა და ფურცლები პურიშკევიჩის ხელ-მოწერილი. ბ. ჩიკვაძემ კომუნდანიტი ციხეში გაგზავნა ბოქ. ჯაფარიძისა და 100 გოროდოვების თანახმობით ჯარში მენეჯერების გავრცელებისათვის. გაიგეს თუ არა ადგილობრივმა ანარხისტ-კომუნისტებმა ეს ამბავი, რიცხვით  $2\frac{1}{2}$  კაცი დაუხვდა წინ და ტუსალი ძალით გაანთავისუფლეს და გააპარეს. დროებით კომუნდანტობა-კი მღვდელს ჩიკვაძეს ჩააბარეს. სწარმოებს სასტიკი ძიება...

◆ როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან აღმოჩნდა, ამ ყამად ბათუმში 301- $\frac{1}{2}$  სტუდენტი. თურმე იმოდენა ენერგია გამოუჩენიათ, რომ ბულგარის და პადლებების საქმე ძრიელ კარგათ წაუყვანიათ. ამ დღეებში აღექსანდრეს ბალში ლექციის წაითხვას აპირებენ შემდგომისათვის: ქაღა ოასხში და ქაღა ბაღში....

◆ ბათუმის მაღალ საზოგადოების „**დაშემა**“ ნამეტანის ქველმოქმედებისაგან ავად გამხდარან და ამიტომ ბათუმში საქველმოქმედო საქმეში ცუდათ მიდიან. ყველაზე მეტად იტანჯება შრომისაგან ნერვების აშლით ცნობილი „**უქველმოქმედო-ქველმოქმედი**“, ნებსით და უნებლიეთ, სიტყვით და არა საქმით ქნიალ—ვისი. ისე დასუსტებულია, ისე დაუ-

ძლურებულია, რომ თაყვანის მცემლებს ხელს ძლივს აწვდის თურმე სამთხვევათ. ამიტომაც ყოველგვარ ქველმოქმედებაზე საყოველთაოთ უარს აცხადებს...

◆ ხელდა აქარაში დაარსებული თათართა რევოლუციონური „**დიდი ჯგუფი**“ ჯემალბეგის მეთაურობით. ასეთივე ტიპის ჯგუფს აარსებს ბათუმში რევგებ-შაშიკოლი. მათი პრაგარამი 1 მუხლი შეიცავს რეაქციონურ მუშების აკლებას და ბათუმადგან გაძევებას.

ამ დღად საქმეში დახმარებას და იარაღის მიწოდებას პირდებიან.

**ფუტბარი.**

**ნ ა ძ ი რ ა ლ ე მ ბ ს .**

არ მომხდარა არასოდეს, რაც დღეს ხდება ჩვენს მწერლებში,—**ჯაშუშებთან** მონათლავენ მწერლებიდან ორ-სამს დღეში!

ზოგს „**შინტაყისტ**“ ეძახიან, პროვოკატორს, იუდასა და ამ რიგად იმდაბლებენ მკითხველებთან თავის თავსა.

ვინ არ იცის, რომ „**მიმინო**“, ან „**ეშმაკი**“, ან ილიკო,— არასოდეს არ იქნება ხალხის მტერი და არც იყო?!

მაგრამ ქვეყნის ნაძირლობა, არ გაქვსთ რიდი არც სირცხვილი და ამ გვარი თქვენი ქტევა,— ქორით არის შეთიხნილი!

**კრიჭა.**

**ჩინი ღროის მოლა მასრაინა**

ქალაქის ერთ-ერთ კუთხეში სცხოვრობდა ერთი ხელოსანი—მიხა ქართაშოვი (დღესაც ცოცხალი). მიხას ერთ ქარხანაში „**პასპორტი**“ მოსთხოვეს. მიხამ გაიკვირა და უთხრა: მე თითონ აქ არა ვარ, მიხეილ ქართაშოვი? პასპორტი რაღათ გინდათ? **Цель Авлабарь мне знать! Хотите спросить!**—**ვაუპარუსკა** ბოლოს მიხამ.

მიხა ხელობით საპოვნითა და როდესაც თავისთვის საკუთარი სახელოსნო ჰქონდა ვალეზული ცალ ფეზე ერთნაირი ფეხსაცმელი ეცა და მეორეზე სულ სხვანაირი. როდესაც მუშტარი შევიდოდა ფეხსაცმელების „**ზაკახის**“ მისაცემად, მიხა ორივე ფეხს წაუშვებდა, ორთავეზე მიუთითებდა და ჰკითხავდა: „**ამნაირი შეგიკერო, თუ ამნაირი**“!...

მიხას ცოლი უნდოდა შვირთო ჭ მღვდლი-საგან ჯვარის წერის მოწმობა დასკირდა-წავიდა თავის ტერტერასთან, რომელსაც მეტ სახელად „**ხიხუას**“ ეძახდნენ და ასე მიმართა:

—**მამო, შენ „ხიხუა“ მე „მიხუა“!** ახლა მეგობრები ვყოფილვართ და მამ მოწმობაც მომეცეო.

ტერტერა, თუმც კოტა არ იყოს გაბრაზდა და შეხტა-შემოტრიალდა, მაგრამ ბოლოს მოწმობა მიიწე მისკა მეგობარ მიხუას.

ერთ კვირა დღეს მიხას ცოლი ჩააცვიდა: —**კაცო, რატომ არაფერს ფიქრობო?** მიხამ ხმა არ გასცა.

ორშაბათ დილით ადგა მიხა, დაჯდა ერთ ალაგას და დაფიქრა.

ცოლმა უყურა, უყურა, შემდეგ მივარდა, გაჯავრებით მკლავი დასწია და უთხრა:

კაცო, რასა ფიქრობ, ადგი მალე და წადი სამუშაოზე!

მიხამ გაჯავრებითვე შეუტია ცოლს: —**შენ არ მითხარი, რატომ არასა ფიქრობო?** მეც ვხივარ და ვფიქრობ რაღა!.. და ცოლის გამოჯავრებულმა ერთი სამუშაო მაა დღე დაკარგა.

როდესაც მიხა ფეხსაცმელების ქარხანაში მუშაობდა, სხვებთან ერთად მასაც საქმე გაუქირა ფეხსაცმელების ძირებზე შპილის დამკვერლობა ერთმა ხელოსანმა, რომელიც მხოლოდ იმას დაუჯავდა შპილკას, ვინც პილატეს ცრემლს ვადა-აკერევენებდა.

მიხა მოთმინებიდან გამოვიდა. ერთხელ, როდესაც მეშპილკემ მიხა უკან გამოაბრუნა და ორ წყვილ ფეხსაცმელზე შპილკა არ დაურტა, მიხამ ხმა ამოუღებლივ ორივე წყვილი იღლიაში ამოიღო და ხაზინის კანტორისაკენ გააწია.

—**რა გინდა, მიხა?** შეეცითხა ხაზინი. —**თუ შეიძლება, ხაზინ, ამ ფეხსაცმელზე შპილკა დამიკარ!**

ხაზინი გაოცდა დი ჰკითხა; „**შენ ხომ ჰკუთაზე თხლათ არა ხარ?**“

—**ჰკუთაზე თხლათ კი არ ვახლავარ, მაგრამ მამ რა ექნა, ხაზინ, უღვივოთ შპილკას არ მირტყამენ და განა იმდენს რას მძღვეთ, რომ ცოლ-შვილიც ვაცხოვრო და მეშპილკეც დღენით გავაძლო.** მახლობელ შაფასს ხაზინმა მოქრთავე ხელოსანი დაითხოვა.

დათხოვნილი დამუქრა მიხას.

—**დამაცადე, მე შენ რა საქმე დავაპრობო!**..

—**მე არც დავაცადე და შესაფერი სა-**

ქმეც დაგმართე! მიბრძანდი და საცა შენი დაიკვეხო, იქ—ჩემიც არ დაივიწყო! მიაძახა მიხამ.

მიხას უნდოდა ქარხანაში თავისთან ერთად დაზავებ თავის 13 წლის შვილიც ემუშავებინა, მაგრამ ქარხნის გამგე ნებას არ აძლევდა.

მიხამ ჩხუბი აუტეხა გამგეს და დაეინებით მოითხოვდა თავისას.

რათ გინდა, რომ შენი შვილი შემოიყვანო? ჰკითხა გაჯავრებულმა გამგემ.

— შენი შემტყვერალი იქნება. გული მიმდის, მაშ გვერდით არ უნდა მყადდეს ჩემი შვილი მიხანს, რომ წყალი დამალევინოს?!

სიტყვა მოუჭრა მიხომ. და ამ გვარათ თავისი 13 წლის შვილიც მიადებინა მიხომ.

მიხა მთვრალი მივიდა სახლში. მისვლისთანავე ცოლმა უსაყვედურა:

— გიხდება, აგრე რომ მოდიხარ?!

მიხამ ტანისამოსზე დაიხედა.

— განა რა მაცვია, რომ მომიხდეს: დაგლეჯილი ახალუხი, წაქეცილი ძველი ჩუსტები და ეს ჭუჭყიანი „შლაპკა“!

— მე მაგას კი არ გეტუბნები, რისთვის დამთვრალხარ, რითვის გამობრუტულხარ შეთქი?

— ჰოდა წელანვე აგრე მეტყოდი, შე დალოცვილი შვილო, მიუგო ცოლს მიხომ.

ერთ შაბათს ჯამაგირების მიღებაზე მიხამ დაიგვიანა და გამგემ ჯამაგირი აღარ მისცა. მიხა ბევრს ეხვეწა გამგეს მარამ ამაოთ.

კვირა დღეს სადღესასწაულოთ გამოეწყო მიხა და მისი განკარგულებით ცოლ-შვილიც ასევე გამოეწყო.

— კაცო, სად მიგყვართ, შეეკითხა მიხას ცოლი.

მიხამ უბრძანა უსიტყვოდ გაჰყოლოდა და მიადგნენ გამგის სახლს.

მოსამსახურემ ჰკითხა: ვინა ხარო?

— გამგეს გადაეცი, რომ მიხაილ ქართაშვიდი მობრძანდათქო; — დინჯად მიუგო მიხამ.

— რა გინდა, მიხომ? შეეკითხა კარზე გამოსული გამგე.

— სტუმრად გეწვიე ჩემი ცოლ-შვილით ერთი კვირით, ან ამ კვირია შემინახე, ანდა ჩემი ჯამაგირი მომეცი. გამგემ იცოდა მიხოს ახირებული ხასიათი და იძულებული იყო თავისი ხედარი მიეტა.

ს-ო.



რას გამობრუტულხარ და ფეხზე დგომის თავი აღარა გაქვს?

— რას, ჩემო კარგო და ამიტომ გადაუკარ, რომ შესამე დუმისთვის მე ან აიანჩაინ!



ლაქია: აქ სახემწიფო ღუმეა ხომ არა გგონია, რომ ვირიფთა ყვირი?

### ჰ რ ო შ ვ ი ნ ც ი ა .

სადგური ტატლუ. სადგური ტატლუს „დაროენი მასტერის“ ა. ტყემალაძის რაპორტი;

За № 400,0000 мая 14-го дня. Господину начальнику Юсубъ-Ханъ Мамедбеку на ст. Акстафа со стан. Татлу.


„ბ—ნო ნაჩალნიკო! ვფიცავ ყოვლის შემძლებელ ღმერთებს; მამას, ძეს და სული-წმიდას, რომ ჩემ მუშებს დღეში 12 საათზე მეტს არ ვაშუშავებდე; ნარდ სამუშევარზე ათ შაბათზე მეტს არ ვაცვლევებდე; ათი „ლიშნი“ კაცის მეტი არა მყავდეს; მუშის მიღებაზედ თითო თავი შაქრის მეტს არ ვღებულობდე და ოცჯერ მეტს დედას არ ვაგინებდე. ამიტომ ვსთხოვ თქვენ მაღალ-კეთილშობილებას

მიშვამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა ნო მანეთზე ერთი ხუთი მანეთი მიინც მომიმატონ.

თქვენი ყურ-მოჭრილი  
მონა-მორჩილი  
ა. ტყემალაძე.



გაჟავდას!.. მაგრამ ვაი ამ გაჟავებას! ჩემი იმედები ჩაიდუღდეს წყაღმა წაიღო!



მეუბნებიან, აჭაყაჭაყო, მაგრამ ჩემს ნასკარტს რომ ვლაცე აძეკონ, ამას ვა ჯღერ უუურებენ. ესენდ შენა ბეჭკვლითა სატყევეს თავსუფუფუა!!!

P. S. ამასთან უაღდვილოთ არა ვსთვლი მოგახსენოთ, რომ როცა თბილისში ან აქსტაფაში წავალ ხოლმე, „აკალოდკას“ ჩემ ცოლს უტოვებ, რომელიც თავის მიწდობილობას პირ-ნათლად ასრულებს. ძაან მადლობელი ვიქნები, თუ მასაც ცოტა რამეს დაუნიშნავთ. მე რომ თქვენი და დღევანდელი წესწყობილების ერთგული მსახური ვარ, ამას იქიდან დარწმუნდებით, რომ მისწულ-დისწული კრამოლნიკობის გულისთვის სახლიდან ვაგყარე.

მერკური.

**პატარა ცაში.** აქ საშინელი კატასტროფა დატრიალდა: ამას წინეთ ცნობილი ფილიპე მე—ძე ჯორით იერუსალიმს მიემგზავრებოდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ გზაში ჩაეძინა და ჯორიდან ბარტყალი გასტვია. ეს ამბავი დღემით აცნობებს თბილისში ცნობილ ლიტერატორ იან ნ—ძეს, რომელიც როგორც გავიგეთ, სისარულისაგან სულ მალაყებს ვადაღის.

აქვე ამას წინათ ქუჩაში ბორჯომის „ფეიამ“ პრანქიობის დროს ფეხი საშინლოთ იღრძო და ერთი ვაი უშველეველი შეიქნა. მაშინვე დებეშები აფორინეს პეტერბურგსა და თბილისში და, რაც კი გამოჩენილი „კოსტოპრავებია“, ყველამ აქ მოიყარა თავი. ბიულეტენს შეგმდევ გაცნობებთ. ჯერჯერობით ავითმყოფის მდგომარეობა სერიოზულია... **შრაშანი.**

**ბოგბას ჩივილი.**

უბედურ ვარსკვლავს რომ იტყვიან ნამდვილათ იმ ვარსკვლავზე ეყოფილვარ გაჩენილი მე უბედური და შავ-წყალ წაღბებული. ვაი, საწყალო გოგია კუპურტაძე! საითაც გვიქეცი, იქით წვიქეციო! სადაც გადავდი ვეხი მე უბედურმა ყველგან რატა ქაჯს და ეშმაკს ვადავყარებ. რაზე გამაჩინა იმ დალოცვილმა ღმერთმა თუ კი ერთს ვერ მოვისვენებდი?! მწყერის არ იყოს—ერთი გამოვლადე სიამოვნება და ისიც უხამ და ნაღველივით გამომაღინეს ცხვირში. რავე შაქარივით მომაგონდება იგი დროი, გურიაში რომ თავისუფლება იყო. მთელი ქვეყანა ჩვენი იყო მაშინ, რაც გვენდოდა იმას ვშობლით. მასოსგ ჩვენ სოფელ კუნცხიეთში ორშაბათ დილით პრისტავი და მამასახლის-მწერალი რომ ვიფრინეთ! სიცილით მოგვკვები რომ გამახსენდება, რავე ძუნძულ-ძუნძულით გეიქვენ სოფლიდან. ჩვენ თვითონ ვიყავით პრისტავი და მამასახლის-მწერალიც. ვაგმართავდიო მიტინგს და რაც გვინდოდა იმას ვლაპარაკობდით. ავდგებოდი დილას ადრე და ვადუეკიონებდი ივანიკს—მიტინგზე წამოდი მეთქი. შევიყრილით თავს და ერთი!

რა გინდა რომ არ ვლაპარაკობდით. მარა ვაი ჩემ დღეს! ჩვენ ბედნიერებას უცხაით მოვლო ბოლო, გვეჩხედეთ და ერთ დღეს ჩვენ კუნცხიეთშიც ხმაი გავარდა ოზურგეთში „რეკაცია“ შემოვარდნილა და არიქა უშველეთ თვარა აქეთაც მოვო. გამოვირდა რა „რეკაცია“? რა ჯანდაბაა? ბიჭო, დინცხა „რეკაცია“ რავე შოუშინდები მეთქი. ყველა ტყისკენ გეიქვა, თუ რამე ხაბაკი ქონდათ ყველამ ვაზიდა ტყეში. მე გვეიქიმე ჩემ ფაცხაში, ვეიყუდე გულზე ჩემი მაქახელა და ვუღარაჯებ, აბა რაცხა „რეკაცია“ მოვიღეს ერთი ენახო მეთქი. ბევრი მეხვეწენ მეზობლები—ნუ ვაღარეულხარ წამოდი „რეკაციას“ შენ ვერ მოერევიო, ოზურგეთი სულ თლათ ვადუწვავენ დაუნგრევიათო, მარა არ დევიჯერე, ვიფიქრე, რომ რაცხა „რეკაცია“ დათვებ უმფროსი ნადირი ხომ არ იქნება? რავე შეიძლება რომ ტყეის არ დაყვებს მეთქი! ჩემი მოკლული დათვი ოცი ფუთი გამოვიდა და „რეკაცია“ რავე იქნება უმფროსი მეთქი. დავჯექი ფაცხაში და ველი, კვირა საღამოს, შუალამე იქნებოდა, ის იყო მიმეღულა, რომ გვარდა თოფი, წამოგტი ზეზე მეგონა დინცხა სხვამ ესროლა „რეკაციას“ და

ვქამე სირცხვილი მეთქი. გამოვარიღ ვარეთ. დედა რა ნახა ჩემმა თვალგემმა. მთელი სოფელი ვადანათებული იყო. სახლებს ბრიალი ვაქონდა. სინათლეზე დევიანებ ჩოხიანები. თოფებს ისვრიდენ და კიყინით მობოლდენ ჩემსკენ. გამიკვირდა ბიჭო ავი რაფერი „რეკაცია“ ყოფილა მეთქი. მე ერთი მეგონა და ბევრი ყოფილა მეთქი. ისევ ათვს უშველევ გოგოელავ, თვარა შენ მაგენს ვერაფერს უხამ მეთქი—უთხარი ჩემ თავს და ვკურცხლე. სილაჩრე რომ არ შევიწნიათ ერთი ორი კი ვავისროლე ჩემი მაქახელა, ვშვლიზე თავი ტყეში და გვეიქეცი. ჩემი თოფის ხმაზე ყველა ჩემსკენ გამეიქვენ და მომყოლეს თოფები, მარა აბა რას დამინახავდენ ტყეში. ვევი ერთ კორტოხზე და ვაღმევიხდე. რა დინახა ჩემმა თვალგემმა? ჩემი საწყალი ფაცხა სანთელივით აენთოთ და ვარშემო ბუქნას ვადალიდენ; გამოიტანეს ჩემი ახალი შეკერილი ჩოხა და ორი ჩოხიანი აქეთიქით ვეწიწებოდა,—არა მე წვეილებ არა მყო. სისხლი ეღში მომივიდა, მარა რას ვიხამდი. ვიკბინე ენაზე და გოვადეკი გზას. ერთ დიდ მუხის ძირში ჩავბარებ ჩემი მაქახელა, წვერამიენ და ჩვევდი სტანციაზე. ვადაწვეიტე ერხანს თვი-

ვის აფარებენ ხელს ძალათ მაცხონგ ფედერალისტები. — „ციხის მერცხალი და „ერთი მედიატორთაგანი“?

ვისწრაფვი გავაცნო „ისარასაც“ და სა-ზოგადოებასაც, თუ ვინ ბრძანდება ის „უხნეო“ პირი, რომლის ვეკილთაც გამოიდან „ციხის მერცხალი“, და ერთი „მედიატორე“ „ისარას“ № 118, 124 და 126-ში. ვინაიდან გახეთქებში დუშეთის კორესპოდენციები მხოლოდ და მხოლოდ ყოველთვის ეხებოდა იქაურ ჯაშუშ მღვდელს დიმიტრი მეტრეველს, ამიტომაც ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ეს „უხნეო“ პირი სწორედ მეტრეველია და არა სხვა ვინმე.

ვინ აუო მეტრეველია და რას წარმოადგენს დღეს ას, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ ვაბტარონი ფედერალისტები? მაშ გავიყნოთ ახლოს ეს თანამედროვე „შურალიე სილაშისა!

დიმიტრი მეტრეველი ბევრგზადანვე გათქმული იყო ჯაშუშობით და ამხანაგების დაბეზღებით. საპატიო ადგილი ექირა სემინარიის რექტორ-ინსპექტორთან და მახეზლარა მოწვევების მოყვარულ მასწავლებლებთან, რასაც დამტკიცებენ მისი ნაამხანაგები (რასაკვირველია „ПО СКАМЬИ“ И „К.ЛАСИ“ და არა ჯაშუშობაში).

1877 წელში ის აკურთხეს მღვდლათ და გაგზავნეს სოფ. ჩირაკში, დუშეთის

მარხისა, მისი ცოლის სოფელში. აქ მან დიდი დეაწლი და შრომა დასდო ხალხს: სამი წლის განმავლობაში მის სამრევლოში 74 თუ 78 (თვითონ უფრო კარგათ ეს-სომება). ბავშვი ვადაიცვალა მოუნათლავი და უზიარებელი, რადგანაც მეტრეველს არ სცალოდა მრევლისთვის, (ალბად „დანოსება“ სწერდა სამიკიტნებში) მისი ცოლი-მელანია ასრულებდა მის მოვალეობას—მღვდელ- მოქმედებას დი ხან და ხან ის ნათლავდა მომავლად ბავშვებს, \*) აი სწორედ ამან აიძულა მისი ცოლის ნათესავები, რომ ეჩვილათ მეტრეველისთვის და „არხიერისკი ეესტი“ მოებათ. ეს ერთი!.. 1880 წელში ჩირიკიდან ის გადაიყვანეს სოფ. ბულაჩაურში, აქ მან გაითქვა სახელი ამ გვარივე სახიზრობით. მრევლი იძულებული შეიქნა ორი წლის თავზედ მეტრეველისთვის „ენციკლოპედირი ეესტი“ გამოებათ. ესეც ორი!..

1882 წელს ბულაჩაურიდან „ეესტი“ მომპული გადავიდა საფარის მონასტერში, სადაც მან დიდი სტრატეგიული ნიჭი გამოიჩინა ეტნოგრაფიაში და პირველმა დაარსა პრაეკატორთა წრე—ერთი ერის მეორეზე ვადაცილებს საქმისა, რასაც

\*) როგორც ამ წერილიდან სჩანს ქალბეს უკეთ შესძლებია მღვდელ-მოქმედების ასრულება და კარგი იქნება, რომ მღვდლებათ ქალბეს დააყენებდნენ, იმათ უფრო ვულ ახლილათ ვეტყვით ჩვენს აღსარებას. **ახლო-ამწყობი.**

ლის-ქალაქში ჩავალ ჩემ მოყვარე ხალამპრე გურგაძესთან და, თუ „რეკაცია“ წვეიდა გურიიდან, მერე ისეც დაებრუნდები მეთქი. შევახტი „მაშინას“ და მეორე დღეს თფილის ქალაქში ამოვიყვი თავი. ჩამოვხტი სტანკიაში, გვიორეკე მტვერი, გვივიკვერტე ულვაშები და ვამევედი. გაუდექი ერთ „ულიას“ გვივარე კოტა და სალდათები და გოროდოვები შემხედნენ და „სტოა“ დამიყვირეს.—ლობსავით ვაჩერებულეყვენ და არავის უშეცდნენ. რუსული ქე ვიკოდი და მეც დაუყვირე „სლუში“ ზაჩემ სტოი ია ხალამპრე იდომ“ მეთქი. ვინ გვიგონა, ბოშო, შენი ხალამპრე. მეცენ აქეთ იქიდან და დამიწყეს ჯიბაში ხელის ფთორი. ჯიბაში არ იქნება ხელის ჩაყვად, არ ვარავა, თუ ღმერთმა ინება და ქალი შევირთე—მიზა არ ვარვა მეთქი, მარა ვინ დაგიჯერა?! ამოფუნენს ჯიბები, შემისე-შემომისევეს ხელი და მერე მეთხეს „სამფორთი.“ ბედათ ბამფორთი ქე მქონდა და მივეცი. სად მუშაობო? სად ვმუშაობ და კუნცებში ყანას ვფუნგიდი და ახლა ჩემ მაგიერ იქინე „რეკაცია“ მუშაობს და მე ხალამპრესთან ჩამოვედი მეთქი. ავი რომ ეთქვი მტაცეს ხელი და ვამაქანეს უჩისტკაში, და შემადგეს ერთს

ბნელ ოთახში, იმისთანა მყარლი ოთახი იყო, რომ ლორი დეხიჩრობოდა შიდ. არ ვასულა ერთი საათი, რომ კილომ მორეკეს სხეები და ოთახი თლათ გვიქვედა. ვამიკვირდა რა ამბავი იყო და დავეითხე ერთს,—ვინც სამუშაოზე არაა იქერენო. ვაი, დედაე! რავა სამუშაო მოყვარესთან ჩამოვედი და რა უნდა ვიშუშავო აქანა ყანას ხომ ვერ მევიკიდებდი ზურგზე?—მეთქი? კოტა ხანს მერე დამიძახეს. მიმიყვანეს პრისტავთან. შენი სახელიო, მეთიხა? გვიორვი მეთქი. \* მამის სახელიო? „ონისიმე მეთქი! \* მამაშენი „რევილიუცია“ ხომ არ იყოვო? ვამეცინა—„რევილიუცია კი არა კივი ქადის ჭამამ და არაო მეთქი. მამა ჩემი არა და მე კი ვარ რევილიუცია მეთქი! \* ამის ვაგონებაზე წამოვარდა ვახელგებული და იმისთანა მხეთქა თავში, რომ თვალები დამიბნელდა. აბა ანას რავა მეფითმენდი და შევხტი; მინდოდა შუაზე ვაგველიჯა დედა ვაგულევილი, მარა მოვარდენ აქეთ იქიდან გოროდოვები და იმდენი მირტყეს, რომ მქალი რბილათ მომიქციეს. მირტყამდენ და მიყვიროდენ: „აბა, შენი რევილიუციაო! \* კარგი სარხე შალივით, რომ მომთვლეს—ბარე სამი პალური მობარტყეს და გარეთ გამოამადგეს. „წაი

დამტკიცებენ დეკანოზი ხახუტოვი, მისი ნამრველარი და ქრისტეს მიერ ქმანი მისნი რომელთაც მეტრეველი „დრევენე ვეგიეტსკი ეესტი“ გამოისტუმრეს... ესეც სამი.

1892 წელს მეტრეველი გადაიყვანეს ურბნისის სობოროში გორის მარხისა, მაგრამ აქ სრული ბოიკოტით მიეგება საზოგადოება მრევლიც: არც წირვასედ, არც ეკლესიაში და არც სახლში არავინ უშვებდა, როგორც იუდას, ვამცემს და ჯაშუშს. რაც მტკიცდება იმ ეპიზოდით, რომ, როდესაც მეტრეველს გადაეცვალა ქალიშვილი, არც ერთი იმის მრევლთაგანი არ დაესწრო ცხედრის განსვენებას და სულიერი მამა იძულებული შეიქნათითონვე წამოეყდნა თავისი მკვდარი მბარტოს დაესაფლავებინა. არ ვაუვლია ორ ათვს, რომ აქედანაც ამოპანჩურეს და „პურიშკევიჩის შვიი ეესტი“ გამოაბეს. ეს ოთხი!..

1893 წელს პურიშკევიჩ-მეტრეველი გადაივიდა თფილისის ბერძნების კატეხანის ეკლესიაში, მაგრამ იქაურ მრევლს ერთი წელიწადიც არ შეუნახიათ პრევიკატორი მოძღვარი და უცებ „ეესტის უფრი“ მოაბეს. ესეც ხუთი!..

1893 წლიდან 1897 წლამდე იწყობა მისი უფრო უკვლო ხეტიალი და იუდასავით აქა იქ წაწაწალი, სწორედ ამ დროს იყო, რომ მან ვაფართოვა თავისი ჯაშუშური ნიჭი და ცნობილ ვოსტორო-

ხალამპრესთან და ხეტიალს და ჩურჩუტს ნუ დაიწყებო. რალს ვიზამდი ვაქაკი რომ არ ვყოფილიყავი ტირილს დევიწყებდი, მარა რა მექნა? დავლუნე თავი და წვეიდი ხალამპრესთან. ვუამბე ყველაფერი. ბევრი იცინა და მითხრა, აქანა მძობო ისეთი „რეკაცია“, რომ ვარეთ ველორ გამოუსულივართო. ვამიკვირდა,—ბიჭო „რეკაცია“ გურიოში დავტევი და ასე მალე რავა ამევიდა აქანა მეთქი. ამ ჩემ სიტყვებზე ხალამპრე კილამ ვაცსა ცეკლზე იმდენი იცინა „რეკაცია“ ერთი კი არ არის, ახლა ყოლგან არისო. დიდხანს ვილაპარაკეთ, ცის, ბრის მერე ვივანშეთ და დავწვეით. ასე შუალამე იქნებოდა, იმისთანა ტკიბილ სიხმარში ვიყავი, რომ ყოროფელი ვაქირევაბა დამამიწყდა. უცებათ ისეთი მუშტი მომხდა გვერდში, რომ ვიფაქრე ავი „რეკაცია“ მეცა მეთქი. დავაქკიტე თვალები და რას ვხედავ, თავზე პრისტავი, სალდათები და გოროდოვები მადგანან, საწყალი ჩემ ხალამპრე გოლქანავთ. „ესტავიკო! \* დამიჯერა პრისტავმა. „ია სპიტ მეთქი—და დავანაბე თვალები“ „აკაკი სპიტ ესტავიკო“ და მომარტყეს თოფის კონდახი. „პოყოლუსტა პოდოყდი კიი სიხმარი ვნახე კონჩილ და პატომ ესტავიკ მეთქი“

გოგის მეოხებით დუშეთში ბლაღოჩინობა გაიკრა—1897 წელს.

ეხლა ჩამოვთვალოთ მისი საქმენი საგმირონი 1897 წლიდან ჩვენ 1907 წლის უკანასკნელ ხანამდე ჩადენილი: დუშეთში მისვლისთანავე მან დაიწყო პროვოკატორობა და ორი ერთმანეთის მოყვარული ერი—სომეხი და ქართველი გადაიკლა ერთმანეთს და ერთი ალიაქოთი გამოიწვია სუფ-გეურქის დაწაში. ეს ექვსი;

შემდეგ დაარსა ქალების სამრევლო სკოლა, რომელიც ნამდვილ „ობრანნი ოტდელენიით“ გახდა და თვით ყანდარბთა შეფობა მიიღო (იხილე ზოილის ღ სხვათა წერილები სხვა და სხვა გახვებში —1897 წ. 1906 წლამდე). ყველაზედ მეტათ სასურადღებო ეპიზოდი დუშეთის ქალთა საკლის ცხოვრებიდან—ეს. ქ. პელოაგია სამკავლოვის მასწავლებლობის პერიოდი, (იმედია, რომ თვითონ ეს ქალბატონი დასწერს ამ ეპიზოდს). როდესაც ბლაღოჩინმა პირტაიამ (მგონი, არც ეს იტყვის უარს) მთელი გამოძიება მოახდინა და ვოსტროვოგმა მთელი საქმე ეგზარხოსის კანცელარიაიდან მოაპარინა, რომ ამისთანა სასარგებლო პირი, როგორც მეტრეველია, არ დასაჯანთ. ამით გათამამებულმა მეტრეველმა მიყო ხელი მასწავლებლებს და წელიწადში ორს ათხუთმედამ მთავრობას ადგილიდან. ამ გვარათ მან დაღუპა მასწავლებლები: ანხა

ბურჯანაძე, (ქანდარმებთან უწილა და, მგონი, კიდევ დააქერინა), ანასტასია ვილაშვილი ზამთარში სიციეთი გამოაფიხა და ვოსტროვოგთან ათასგვარი ცილი დასწავა. დანიელ კვიციანი, ანანია კიხაძე და ბევრი სხვა, რომლის გვარებიც არ მახსოვს და იმედია თითონ ამოიღებენ ხმას.

ხანდამიშვილის შესახებ ერთს ვიტყვი, რომ სხვა და სხვა დანსებების წერით როცა ვერასფერს ვახდა მეტრეველი, ცოლთან გაყრა მოუხდამა, შეადგინა პალაოგი ღ ხანდამიშვილის ცოლის მაგერი თვითონ მოაწერა ხელი, შემდეგი ამ გვარი შინაარსის „დანოსი“ დასცხო. რასაკვირველია, ვოსტროვოგსაც ეს უნდოდა და ხანდამიშვილი ცოლშვილით ქუჩაში დასტოვა, ამ ნაირი საქმე ჩაიდინა კიდევ ვილაცა პეტრიაშვილის შესახებაც და საცოდავ კაცს ცალი გაყარა-ქმრის უნებურათ. (იმედია თვითონ პეტრიაშვილი ამოიღებს ხმას და, როგორც ეს მოსწერა „ტალღას“, ისე ჩვენც მოგვაწოდის ცნობას). შარშან, როცა ხანდამიშვილმა გამოაშკარავა მეტრეველის, საგმირო საქმენი“ მეტრეველმა წინადადება მისცა ფსევდონიმის ნიღაბი მოეხსნა ღ ნათლათ სჩვენებოდა. რაც მან აუსრულა კიდევ, მაგრამ როგორ გამოიყენა ხანდამიშვილის გულუბრყვილობა? მისი კორესპოდენცია დუშეთის გაიციკის შესახებ, ხანდამიშვილის ფსევდონიმი ხელმო

წერილი ჩაიტანა მზარის უფროსთან და ჩაახარა, რომ აი ეხლა კი ხელში ჩაიგედეთ იმ კორესპოდენციის დამწერი—ეს ხანდამიშვილი ბჰანებულა და ეხლა თქვენ იცითო. პოლიციას მეტი რა უნდოდა? დასცხეს ღებუშები და ყოველ კუთხეში ძებმა დაუწყეს ხანდამიშვილს და სამეგრელოში დაატუსაღეს, ამ გვარათ მეტრეველმა საამხანაგო სასამართლოც აიკლინა და ხანდამიშვილს სამი თვით ციხეში ამოაყოფია თავი. ნუ თუ ამას ჯაშუშობა არ ქვიან?

დუშეთის მოხელენი ლაღო დაფქვიანელო, დავით ხიხნოვი და სხვები ქანდარმებთან დაამეზლა და ცოლშვილი აუწოკა. (ესენიც ხომ იტყვიან რასქეს)? მღველი ლაგენტი ქამკვეტაქმ დაამეზლა ექსარხოსთან ბლაღოჩინებმა როცა ხელი აიღეს ბლაღოჩინობაზე და მეტრეველი კი ისევ ვანაგრობდა, რომ ლაგენტი ქამკვეტაქმ ბლაღოჩინათ არ მცნობს და ჩემ მოწერილობებს ყურს არ უგდებს და არ ასრულებსო.

შვილი შვილის მამა—მღველი ნიკიფორე კანდელაკი ამ წელში კინალამ ულუქმა პუროთ დასტოვა ცოლშვილით დღეში ოცდაათ, „დანოსსა“ გზავნიდა ეგზარხოსთან: კიდევ რაღენი სხვა. საღ მოვთვალო ყველაფერი? მე იმედი მაქვს, რომ ამის შესახებ ყველანი ხმას ამოიღებენ. ერთი კიდევ: მღველი კონსტან-


ღ კილომ დაენაბე თვალები. „ვაზნიტოი“—დეიყვირა იმ ოჯახ დასაქცევმა. აგი კი ვეღარ მევიბინე. „რავა კეტარი კი არ ვარ ზაჩემ ვაზნიტო“ მე თვითონ ავდგები მეთქი. ავდექი. ბაშუროთი :—გუშინ ხომ ნახე მეთქი, სკორეიო! რას ვიზამდი მივეცი. წყითხმა პრისტავმა და მითხრა ხალამპრეს საიდან იცნობო. დღდავ, წავხთი! რავა საიდან ვიცნობ, ხალამპრე ჩემი ბოძაშვილია მეთქი. აბა შენც „ცოციე“ ყოვილხარ და უნდა დაგიკოროთო. გამიკრეს ხელები და მე და ხალამპრე მიგაძქუნძულეს უჩასტკაში. იმ დაქვს შევგავადეს საპყალიაში. მეორე დღეს ხალამპრე ადრე წყითყანეს საცხა და მე პრისტავთან მიმიყვანეს. პრისტავმა კილომ მითხრა „ცოციე“ ხარ თუ არაო? ბიქო! „ცოციე“ ვარ აბა, „რეჰტაიე“ ხომ არ ვიქნები მეთქი? ჩემი გულინა რეიზა იწუხებთ თავს ისევ უჩასტკაში გადმოვსახლდები, სანამდე აქეთ დაეჩრები და მერე ქე წავალ კუნცხითეში მეთქი. ვიეცინა. შენისთანა „ცოციები“ რომ იყვენ აველა რაღა გვიკოროსო! დოუძახა გაროღოვის და უთხრა: „გეიყვანე! კაი, კაი, მიყოლე და გოუშვიო“. გამომიყვანეს ეზოში მომარტყეს გამიშვეს. „ვაი, დედა! თქვენ თუ ჩამოდით კუნცხითეში გიტო-

რებთ ყოფას მეთქი, მივძახე და ვიღუროთე. გამოვბტი ქუჩაში და გევიქეცი. ვიყანტალე ხან ერთ ქუჩაზე და ხან მეორეზე, არ ვიციდი საით წავსულიყავი. ბოლოს გამახსენდა, რომ ქარვასლაში ერთი მოყვარე კილო შეყავდა—ქრისტესია ცუქქაქე. ბეზმა ჩემის ბოძაშვილის ცოლის მასლის მონათლულის ცოლის ძმის შვილი იყო. ქარვასლაში პრიკაიკათ იყო. გავსწეი მისკენ. მივედი ქარვასლასთან და გევიხედე და რა დევიხახე: მოვლიჯინობენ ყაძახები. თვალები ისე დებრაწენ, რომ ცოფიანი ვგვრდებოდა კაცს. შუაში ორი ფაიტონი მოდიოდა. მომიახლოვდენ თუ არა, უტბათ რაცხამ იმისთანა მპრივა, რომ ვიფიქრე ქარვასლა დამეცა თავზე მეთქი,—ერთ საყენზე კი შევბტი. თვალის დაყანკურება ვერ მოვიწაწარი, რომ მპრივებს მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, შეიქნა ბრიგინ-ბრიგინი, გრიალ-გრიალი, ხატქახუთქი. გევიხედე ერთმა ყაძახმა ქნა ზიკუნტალი, სხვებმა ისე მოკურცხლეს, რომ სულ მიწას ეცხებოდენ. თვალები დამიბნენდა, სეით გავქცეულიყავი არ ვიციდი. ყველა წვილ-კვილით მიბზოდა. ვიკადრე მეც და ვეკურცხლე, აქეთ გავბტი, იქით გავბტი და უცუათ ერთ გაროღოვის ზე კაკალ გულზე შევბტი.

იმ უბედურს შიშით ისე ვაშტერებოდა თვალები და დაეფინა პირი რომ პირში, რომ შევბტომადი ვერაფერს გეიგებდა. ექნეთ ორივემ კოტრაილი. დავაპირე წამოხტომა და გაქცევა მარა მტაცა ფეხში ხელი, მოვარდენ საღდათები და გაროღოვიები და დამიშინეს ზოგმა ხიშტი, ზოგმა თოფის კანდახი. დამიბნენდა თვალები და წვეიქეცი. ვიფიქრე ახლა კი მოვკეტი, რაცხა „რეჰტაიეა“ ახლა პირ და პირ დამეტაკა მეთქი. როცა გონს მოვედი ხელ-ფეხ შეკრული ვიყავი და თავზე დენერალი მადვა. თვალები დამიბრაილა და დამიყვირა: „პო-დევტე! დეროლისტი! ისპროპრიატორო“ „ზაჩემ დენგი ვზილო“. მე დეროლისტი არ ვარ „ცოციე“ ვარ, დენგი და რუბლია ესტ მეთქი, ვუთხარი. „გროპოო, ჩამოგახარობო, ზაჩემ ბომბი ბრისილო“. ვინ იყო შენი ამხანაგები საღ არის ფულუბიო? ვერ გევიგე რას მელაპარაკებოდა: მე ქრისტესიასან მივიღიდი ქარვასლაში, რაცხამ ბრივა და გევიქეცი მეთქი. „ია ტებე პოკაიო!“—დამიყვირა და წვეიდა. გამიკრეს მაგრათ ხელ-ფეხი და წამათორიეს ციხეში. ჯერაც არ ვიცი მე უბედურმა რა ამბავი იყო და რა მოხდა, ქე ვარ ახლა ციხეში. ჩემი ცოდვა მის კისერში ვინც ის ფულუბი წვილო.

მურთუზ-ოლო.

1



2



ტინე კავკასიე შარშან პოლიციაში დააბეზლა, რომ დუშეთის „ზოსსეზე“ მარსელიეზას მიიმღეროდაო. მისი მოხუცებული მამა—მოსე კავკასიე ციხეში ჩაასმევინა და იქაც არ უსვენებდა და აბეზლებდა, რომ მღვდელი მარხვასა. სკამსო და თვითონ კი?.. თვითონ 1905 წელს ფერიცვალეზა დღეს (6 აგვისტოს) ქათმის ჩიხირთმას „პეროენით“ მიირთმევდა... მოწმები? მიშა მანდენოვი, ლაღო კორინთელი და ბეერიც სხვა... კიდევ ვსთქვა რამე? მაგარამ არა ღირს! თვითონ საზოგადოებაც და „ისარიც“ ამოიღებენ მამზე ხმას და გულახდილათ იტყვიან, რომ ბ. „ციხის მერცხალი“ და „ერთი მედიატორეთავანიც“, სწორეთ ნამდილო ჯაშუშს აფარებენ ხელს და მის დასაცველოთ ხანდამიშვილზე ილაშქრებენ ათასგვარ კორიკანობით.

ამ მიზეზებით ჩვენი მხრით ვაცხადებთ დუშეთის ბლაღოჩინ მღვდელს ახლათ გამომქვებარ დეკანოზს, დომიტრი მეტრეველს, რომელმაც დეკანოზობა მიიღო ამხანაგ ინხანისაგან, რომელმაც „ღრის“ ერთ ერთ ნომერში დაბეჭდა მეტრეველის წინააღმდეგ წერილი, სადაც საიქიოდან მეტრეველს დეკანოზობას ულოცავენ (ჯერ არ მივიღო) და ეს კორესპოდენცია მეტრეველმა რუსულათ სთარგმნა და ფეზარხის წარუდგინა და მართლოც დეკანოზათ გამოცხება, დიას! ამ მეტრეველს ვაცხადებთ ჯაშუშათ, პრავეკატორათ, იუდათ, ვამეცემათ, ვაიძვერათ და სხვა...

საბუთი?!

საბუთი? 1905 წლის 31 მაისის სრულიათ საქართველოს სამღვდლოეზის საეგზარხო კრება, სადაც თვით სამღვდლოეზამ მეტრეველი საჯაროთ ჯაშუშათ აღიარა და ჯაშუშების პირველ № შოაქცია და ოთხჯერ გაიმეორა მისი ვგარი. და 1905 წ. 1 ივლისის სამღვდლოეზის კრება, საცა მეტრეველი ჯაშუშობისთვის კრებიდან გააძვეეს!...

ბლაღოჩინი.

რედ. გამომცემელი კ. ვენეცკი.

### განცხადება

ახალი ელექტრომეჭვადვი სტამბა

ამხ. სორაპანი

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ქ. მუხრანსკის სახლში № 1.